

# საქართველოს კანონის პროექტზე „პროფესიული განათლების შესახებ“

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები და საერთაშორისო  
პრაქტიკის მიმოხილვა

(დეკემბერი, 2006 წელი)

## 1.1. ფოკუს ჯგუფების ანალიზი<sup>1</sup>

2006 წლის ოქტომბერ-ნოემბერში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ „შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს“ ფინანსური მხარდაჭერით ქუთაისში, ოზურგეთში, გორსა და ბოლნისში ჩატარა ფოკუს ჯგუფები „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე.

ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანამშრომლებმა, უმაღლესი, დაწყებითი და საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლებმა, მასმედიისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და სხვა დაინტერესებული პირებმა. თითოეულ შეხვედრას 12-14 ადამიანი ესწრებოდა. სულ განხილვებში მონაწილეობა მიიღო 54-მა ადამიანმა.

შეხვედრის მონაწილეებისთვის „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ მოამზადა სპეციალური კითხვარი, რომელიც, კანონპროექტთან ერთად, შეხვედრებზე მოწვეულ პირებს წინასწარ დაურიგდათ, რათა მათ ჰქონოდათ საშუალება, უკეთ გასცნობოდნენ განსახილველ საკითხს და მოემზადებინათ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები.

## ფოკუს ჯგუფების მონაწილეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები:

### კანონპროექტის ძირითადი დადებითი მხარეები

შეხვედრების მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს კანონპროექტის ძირითადი მიზანი და აღნიშნეს, რომ პროფესიული განათლების სისტემის რეაბილიტაცია და განვითარება და მისი ევროპულ სტანდარტებთან მისადაგება, არსებული უმუშევრობის პირობებში, აუცილებლად უნდა გახდეს მთავრობის სამოქმედო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი.

<sup>1</sup> ფოკუს ჯგუფების ანგარიში ასახავს მონაწილეთა შეხედულებებს და შესაძლოა არ წარმოადგენდეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ და „შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს“ მოსაზრებებს.

პოზიტიურად შეფასდა ასევე:

(ა) კანონპროექტით გათვალისწინებული პროფესიული განათლების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, რაც მომავალში გახდება ბოლონის ერთიან სივრცეში კვალიფიკაციის შემდგომი ამადლების შესაძლებლობის შექმნის წინაპირობა;

(ბ) პროფესიული განათლების დიფერენციაცია სხვადასხვა საფეხურებად, კერძოდ, სახელობო, უმაღლეს და არაფორმალურ განათლებად;

(გ) პროფესიული განათლების სისტემის დაკავშირება შრომის ბაზართან, კერძოდ, დამსაქმებელთა ჩართვა პროფესიული განათლების პოლიტიკის შემუშავებაში და საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და პროფესიული სტანდარტების ჩამოყალიბებაში, რაც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ეფექტურობის და შესაბამისად, კვალიფიკაციური კადრების დასაქმების პერსპექტივის გაზრდას;

(დ) ნოვაცია არაფორმალური განათლების აღიარების სახით, რაც ხელს შეუწყობს იმ ადამიანთა დასაქმებას, რომელთაც პროფესიული უნარ-ჩვევები საგანმანათლებლო დაწესებულებებისაგან დამოუკიდებლად აქვთ შექმნილი.

შეხვედრებზე ერთხმად აღინიშნა, რომ დღეს არსებული პროფესიული განათლების სისტემა არაადეკვატურია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებაში. იგი ვერ უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მომზადებას, შესაბამისად, სისტემა უფუნქციოა და არ გააჩნია არავითარი საზოგადოებრივი პრესტიჟი.

მონაწილეების აზრით, ახალი კანონპროექტი უნდა ემსახურებოდეს (ა) კვალიფიციური, პრაქტიკაზე ორიენტირებული კადრების მომზადების გზით უმუშევრობის პრობლემის დაძლევას და (ბ) რეგიონების დარგობრივი განვითარების მოთხოვნილებების გათვალისწინებით სპეციფიური პროგრამების მქონე სასწავლებლების შექმნას.

### **კანონპროექტის შესახებ გამოთქმული შენიშვნები**

დადებით მხარეებთან ერთად ფოკუს ჯგუფებზე საუბარი იყო კანონპროექტის ნაკლოვანებებზეც. მონაწილეები ძირითად უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:

(ა) კანონპროექტის რთული იურიდიული ენა მონაწილეთა აზრით, კანონპროექტის ტერმინთა განმარტების თავი საჭიროებს დახვეწას. ასევე ზოგადად გასასამარტივებელია კანონპროექტის ენა. კანონპროექტი ძალიან ძნელად იკითხება და შესაბამისად, რთულია მისი აღქმაც;

(ბ) პროფესიული განათლების სისტემის დეტალური რეგულირების არარსებობა კანონპროექტში დეტალურად არ არის გაწერილი პროფესიული განათლების რეგულირების მექანიზმები. პროექტის თანახმად, მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა უნდა მოხდეს მინისტრის ბრძანებების საფუძველზე;

(გ) კანონპროექტის რიგი დებულებების ბუნდოვნება კანონპროექტის ბევრი დებულება არ არის სათანადოდ გამართული, რაც გაუგებარს ხდის მათ და სავარაუდოდ, მომავალში გამოიწვევს მათ სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირებას და ამ მხრივ სერიოზული სირთულეების შექმნას;

(დ) პროფესიულ სასწავლებლებში ზოგადი განათლების კომპონენტის ამოღება ფოკუს ჯგუფების მონაწილეების აზრით, გარკვეული დოზით ზოგადი განათლების მიცემა პროფესიულ სასწავლებლებშიც უნდა ხდებოდეს, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ საშუალება აირჩიონ, მომავალშიც ამ მიმართულებით გააგრძელებენ სწავლას, თუ უმაღლეს განათლებას დაეფუძვებიან. გარდა ამისა, სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული, რომ ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ზოგადი განათლების დონის ამაღლებას და ამ მხრივ ქვეყნის შემდგომ გაძლიერებას.

დამატებით გამოითქვა მოსაზრებები შემდეგ საკითხებზეც:

### ***(ა) პროფესიული განათლების სისტემის სახელმწიფო კონტროლი***

მონაწილეთა აზრი პროფესიული განათლების სისტემის სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი იყო. ნაწილის შეფასებით, ის ფაქტი, რომ კანონპროექტი კონტროლის პროცესში რთავს რამდენიმე სახელისუფლებო სტრუქტურას ხელს შეუწყობს ეფექტური ურთიერთკონტროლის განხორციელებას და შეზღუდავს დარღვევების შესაძლებლობას. დანარჩენებმა კანონპროექტით წარმოდგენილი სქემა გააკრიტიკეს და თქვეს, რომ ზედამხედველობის განხორციელებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მისი ტერიტორიული ორგანოების (საგანმანათლებლო რესურს ცენტრების) მეშვეობით, რომელთაც ამისთვის სრულიად საკმარისი რესურსები აქვთ. მათი აზრით, ამ ტიპის კონტროლი უფრო მოქნილი და შესაბამისად, უფრო შედეგიანი იქნება.

ფოკუს ჯგუფების განხილვების ზოგიერთმა მონაწილემ მიუღებლად მიიჩნია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პრეროგატივა, ახორციელებდეს სახელმწიფო კონტროლს საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე - ეროვნულ პროფესიულ სააგენტოზე და აღნიშნა, რომ ამ პროცესში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უნდა მონაწილეობდეს.

### ***(ბ) პროფესიული სასწავლებლების აკრედიტაცია და დაფინანსება***

აკრედიტაციასთან და დაფინანსებასთან დაკავშირებით მონაწილეების პოზიციები ერთმანეთს დაემთხვა აკრედიტაციასთან მიმართებაში მათ მხარი დაუჭირეს ყველა სასწავლებლის დავალებულებას, რომ გაიარონ როგორც ინსტიტუციური, ისე პროგრამული ატესტაცია, ხოლო დაფინანსების შესახებ აღნიშნეს, რომ პროფესიული სწავლება უნდა დააფინანსოს სახელმწიფომ სრულად, ვაუჩერების სახით.

მონაწილეების აზრით, პროგრამული აკრედიტაცია უზრუნველყოფს პროფესიული სასწავლებლების მომზადებისა და გადამზადების პროგრამების ხარისხის ამაღლებას, ამ სასწავლებლებს შორის კონკურენციის გაზრდას და შესაბამისად,

უკეთესი კადრების მომზადებას. პროფესიულ სწავლებასთან დაკავშირებული ხარჯების სახელმწიფოს მიერ სრულად დაფარვის აუცილებლობა კი იმით განმარტეს, რომ არსებული მწვავე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ შეძლებს საკუთარი განათლების დაფინანსებას და ამდენად, პროფესიული სასწავლებლების საქმიანობა ვერ იქიონიებს რეალურ გავლენას ქვეყანაში უმუშევრობის დონის შემცირებაზე.

***(გ) კვალიფიციური კადრების არარსებობა***

თითქმის ყველა შეხვედრაზე მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს საქართველოს შრომის ბაზარზე კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების სიმწირეს, რიგ სფეროებში კი მათ არარსებობას და გამოთქვეს იმედი, რომ ახალი კანონპროექტი შეძლებს ამგვარი კადრების მომზადებას სწრაფი და იმავდროულად ეფექტური პროფესიული განათლების დამკვიდრების გზით.

***(გ) სახელწმიფო კონტროლის სფერო***

კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეშვეობით, განახორციელებს პროფესიული განათლების სისტემის ზოგად კონტროლს და რიგ შემთხვევებში, დეტალურ ინსპექტირებას. ამ საკითხთან მიმართებაში გამოითქვა მოსაზრება, რომ კანონპროექტი უნდა შეიცავდეს დეტალურ აღწერას იმის შესახებ, თუ რა წესების დაცვით განახორციელებს სამინისტრო ამ ფუნქციებს და როგორ მოხდება სახელწმიფოს მხრიდან გადაჭარბებული ჩარევის თავიდან აცილება. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა ნაწილის აზრით, პროფესიული განათლების სასწავლებლებს უნდა მიენიჭოთ აკადემიური დამოუკიდებლობა, მათ უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ დანერგონ სხვადასხვა ევროპული მომზადება-გადამზადების პროგრამები.

***(დ) კანონპროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტურობა და მოსალოდნელი შედეგები***

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია, სათანადო ყურადღება დაეთმოს კანონპროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტურობის შეფასებას. ამ ეტაპზე მოსახლეობაში არსებობს ეჭვი იმის შესახებ, რომ პროფესიული განათლების ახალი სისტემის დანერგვა მნიშვნელოვან სირთულეებთან იქნება დაკავშირებული და დიდი დრო დაჭირდება.

**12. პროფესიული განათლების სისტემების ევროპული მოდელების მიმოხილვა**

ანალიზში მიმოხილულია ევროპულ ქვეყნებში არსებული პროფესიული განათლების სისტემები. ეს, ერთის მხრივ, განპირობებულია საქართველოს მისწრაფებით გახდეს ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ნაწილი, მეორე მხრივ, კი

მნიშვნელოვანია ევროპის მრავალსაუკუნოვანი განათლების სისტემის გამოცდილების გაზიარება.

პროფესიული განათლების სისტემის ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში არსებული მოდელები თითქმის იდენტურია, რაც განპირობებულია ერთიანი ევროპის პოლიტიკითა და ნოსტრიფიკაციის ევროპული კონცეფციით.

ანალიზში განხილულია ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილება და იქ არსებული პროფესიული განათლების მოდელი. ასევე, მიმოხილულია დასავლეთ ევროპული ქვეყნების – გერმანიისა და საფრანგეთის მაგალითები.

ბალტიისპირეთის ქვეყნებში (ლატვია, ლიტვა) პროფესიული განათლება რეგულირდება ორი მნიშვნელოვანი კანონით:

- კანონი განათლების შესახებ;
- კანონი პროფესიული განათლების შესახებ.

ბალტიისპირეთის ქვეყნების კანონმდებლობა პროფესიული განათლების სფეროში აგებულია UNESCO-ს გენერალური კონფერენციის მიერ 1997 წელს მიღებულ განათლების საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკაციაზე (International Standard Classification of Education (ISCED)). კონცეფციით მოცემულია პროფესიული განათლების სამი დონე:

- დაწყებითი;
- საშუალო;
- უმაღლესი.

ლიტვის კანონით პროფესიული განათლების შესახებ პროფესიული კვალიფიკაციის დონე წარმოადგენს თეორიულ და პრაქტიკულ საფუძველს, რაც იძლევა კონკრეტული მოცულობის სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას, რომელიც, თავის მხრივ, პასუხობს სირთულისა და პასუხისმგებლობის გარკვეულ დონეს.

აღნიშნული კანონის თანახმად, დაწყებითი პროფესიული განათლება და მომზადება წარმოადგენს განათლების ბაზისურ საფეხურს, რაც იძლევა პირველი დონის პროფესიულ კვალიფიკაციას.

საშუალო პროფესიული განათლება და მომზადება წარმოადგენს 4 წლიან სასწავლო პროგრამას და განკუთვნილია იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც პროფესიული განათლების სკოლებში (როგორცაა გიმნაზიები და ტექნიკუმები) წარმატებით გაიარეს ძირითადი სავალდებულო განათლება. აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს საშუალო სკოლის დასრულებისთანავე ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ მესამე დონის კვალიფიკაცია.

ორი ან სამწლიანი პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამა განკუთვნილია იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც დაასრულეს ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამა. მათ, შესაბამისად, ეძლევათ საშუალება მიიღონ მეორე დონის პროფესიული კვალიფიკაცია. სასწავლო პროცესი შეიძლება გაგრძელდეს 2 წელი მესამე დონის კვალიფიკაციის მინიჭებით ან ერთიდან ორ წლამდე საშუალო განათლების ატესტატის მიღებით.

ძირითადი პროფესიული განათლებისა და გადამზადების პროგრამა გრძელდება სამი წელი და განკუთვლილია იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც არ აქვთ მიღებული ბაზისური (ძირითადი) განათლება (7 კლასის დასრულების შემდეგ მაგრამ 15 წლის ასაკამდე). პირველი და მეორე დონის პროფესიული განათლების მიღების გარდა სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა დაასრულონ ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამა.

მიუხედავად პროფესიული განათლების პროგრამისა ყველა მოსწავლე ვალდებულია ჩააბაროს საბოლოო მაკვალიფიცირებელი გამოცდა, რის შედეგადაც მოსწავლე იღებს შემდეგი სახის დიპლომს/სერტიფიკატს:

- საშუალო პროფესიული განათლებისა და მომზადების დიპლომი;
- ძირითადი პროფესიული განათლებისა და მომზადების სერტიფიკატი;
- დაწყებითი პროფესიული განათლებისა და მომზადების სერტიფიკატი.

მოსწავლეებს, რომლებიც დაეუფლებიან საშუალო პროფესიულ განათლებას და მიიღებენ დიპლომს, უფლება აქვთ განაცხადი გააკეთონ უმაღლესი განათლების მიღებაზე.

ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილებით არსებობს საშუალოს შემდგომი არაუმაღლესი პროფესიული განათლება (ISCED მეოთხე დონე). ამ კატეგორიაში შედის განგრძობადი და დასაქმებაზე ორიენტირებული პროფესიული განათლება, რომლის მიღება შესაძლებელია ზოგადი და საშუალო პროფესიული განათლების ბაზაზე. ამ პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს ერთ ან ორ წელს. ასევე არსებობს პროფესიული გადახალისებისა და განვითარების პროგრამა (ხანგრძლივობა არაუმეტეს 160 სასწავლო საათისა). აღნიშნული პროგრამების მიზანია პროფესიული უნარჩვევებისა და ცოდნის დაუფლება კვალიფიკაციის კონკრეტული დონის მოთხოვნების დაკმაყოფილების პარალელურად. სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა საშუალო პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამის იდენტურია.

აღნიშნული სფეროს სახელწმიფო რეგულირებას ახდენს განათლების სამინისტრო და მის სტრუქტურულ დაქვემდებარებაში მყოფი პროფესიული განათლებისა და გადამზადების ცენტრი. ეს ორი უწყება უზრუნველყოფს სახელწმიფო პოლიტიკის გაორციელებას დაწყებით, ძირითად, საშუალო, განგრძობად და დასაქმებაზე ორიენტირებულ პროფესიული განათლების სფეროებში.

ამ კუთხით ასევე მნიშვნელოვანი და საინტერესოა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გამოცდილება. განსაკუთრებით საყურადღებოა იმ რეფორმის მიღწევები, რომელიც გერმანიაში პროფესიული განათლების სფეროში ახლახანს განხორციელდა. 2005 წლის 1 აპრილს გერმანიის ბუნდესტაგმა მიიღო და შემდგომ ბუნდესრატმა დაამტკიცა კანონი “პროფესიული განათლებისა და მომზადების შესახებ”. ამ კანონით გაუქმდა 1969 წლის პროფესიული განათლების აქტი და 1981 წლის პროფესიული განათლების წახალისების აქტი.

აღნიშნული კანონის ძირითად მიღწევად მიიჩნევენ პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. რადიკალურ ცვლილებად ითვლება საბოლოო გამოცდების საფეხუროვანი ჩაბარების სისტემის შემოღება. ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნის გარეთ განხორციელებლი პროფესიული განათლებისა და მომზადების ნოსტრიფიცირების სისტემის დამკვიდრება.

ახალი კონცეფცია გამიჯნავს პროფესიულ განათლებასა და პროფესიულ მომზადებას. პროფესიული განათლების ყველა სკოლა (X/XI კლასი) იძლევა საშუალებას მოსწავლე დაეუფლოს ზოგადი განათლების სერტიფიკატს. როგორც წესი, პროფესიული განათლება განიხილება საშუალოზე მაღალი განათლების კონტექსტში და მიმდინარეობს 2-3 წელი საშუალო განათლების დასრულებისთანავე. მოსწავლეს შეუძლია თავად აირჩიოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან პროფესიული განათლების სკოლაში (მაგალითად გიმნაზიაში) სწავლის გაგრძელება.

ზოგადი საშუალო სკოლების პარალელურად ზოგადი და პროფესიული განათლების სისტემაშივე არსებობს სპეციალური სკოლები ფიზიკური თუ მენტალური ნაკლის მქონე მოსწავლეებისთვის. ასევე ფუნქციონირებს სრული განაკვეთის (სრული დატვირთვის) და ნახევარგანაკვეთის (არასრული დატვირთვის) პროფესიული სკოლები (ძირითადად X/XI კლასებისთვის). პროფესიული სკოლები შეიძლება ატარებდნენ გიმნაზიის, ტექნიკუმის და სხვ. სახელწოდებას.

პროფესიული მომზადება ორი პარალელური სისტემით არის წარმოდგენილი:

- სახელმწიფოს მიერ რეგულირებული პროფესიული მომზადების სისტემა;
- კერძო კომერციული პროფესიული მომზადების სისტემა.

სახელმწიფოს მიერ რეგულირებული პროფესიული მომზადება მიმდინარეობს პროფესიული მომზადების სპეციალურ სახელმწიფო სკოლებში და მიზნად ისახავს სტუდენტებს მისცეს კონკრეტული სამუშაოს მოსაპოვებლად აუცილებელი თეორიული ცოდნა და პროფესიული გამოცდილება. პროგრამის დასრულებისთანავე სტუდენტის შესაბამისი დონის დასწრება-მოსწრების საფუძველზე გაიცემა სერტიფიკატი. ეს სისტემა ფუნქციონირებს ლანდების (ადმინისტრაციული ერთეულები) გარკვეული თავისებურებებით შესაბამისად.

პროფესიული განათლების სისტემის საინტერესო მოდელი არსებობს საფრანგეთში. მთელი რიგი რეფორმების შედეგად საფრანგეთმა განავითარა და ჩამოაყალიბა პროფესიული განათლების განსხვავებული კონცეფცია, რომელიც მოსწავლეების შესაძლებლობებს ეფუძნება.

საფრანგეთის საშუალო განათლების სისტემა ორ ეტაპზე არის დაყოფილი. 1975 წლიდან საფრანგეთში არსებობს ე. წ. კოლეჯის ერთიანი სისტემა. ამ სისტემით 11-დან 15 წლამდე მოსწავლეები ერთად სწავლობენ სამი წელი. მესამე კლასიდან ხდება მათი სხვადასხვა ჯგუფებში დიფერენცირება ზოგადი, ტექნიკური და პროფესიული ნიშნის მიხედვით. ასეთი დიფერენცირება სტუდენტებს აძლევს ბაკალავრიატის გამოცდებისათვის მომზადების საშუალებას. აღნიშნულ გამოცდას მოსწავლეები აბარებენ, როგორც წესი, 18 წლის ასაკის მიღწევისთანავე.

პროფესიული სკოლების ზოგად მენეჯმენტს საფრანგეთში ახორციელებს განათლების სამინისტრო, თუმცა სპეციალური პროფესიული სასწავლებლების (ფიზიკური და ფსიქიკური ნაკლის მქონდე მოსწავლეებისათვის) ადმინისტრირებას ახდენს ჯანდაცვის სამინისტრო.

კონკრეტული სამუშაო პოზიციებისათვის მოსამზადებლად ზოგადი პროფესიული სკოლების პარალელურად არსებობს სპეციალიზირებული პროფესიული მომზადების ცენტრები. მოსწავლეებს შეუძლიათ ასეთ სკოლებს მიმართონ უკვე 16 წლის ასაკიდან.

პროფესიული განათლებისა და მომზადების კუთხით საინტერესო გამოცდილება არსებობს საფრანგეთში სპეციალური პროფესიული სასწავლო კლასების (ხშირ შემთხვევაში პროგრამის) სახით, რომელიც ინტეგრირებულია საშუალო სკოლის საგანმანათლებლო სისტემაში. ასეთი სახის პროფესიულ პროგრამებს წარმოადგენენ CLIS, SEGPA და CAP კლასები, რაც უზრუნველყოფს საშუალო საგანმანათლებლო სისტემიდან ამოვარდნილი ახალგაზრდებისათვის სხვადასხვა პროფესიული მიმართულებებით მინიმალური დონის უნარ-ჩვევების შესწავლას.

**პროფესიული განათლების დაფინანსების სისტემა**  
**სტატისტიკური ინფორმაცია პროფესიულ განათლებაზე ე.წ. მოთხოვნის არსებობის შესახებ**

**პროფესიული განათლების მმართველი ორგანოები და ფუნქციების გამიჯვნა**

ბალტიისპირეთის ქვეყნებში (ლატვია, ლიტვა) პროფესიული განათლების დაფინანსების საკითხი განისაზღვრება შედგენილი კურიკულუმით (სასწავლო გეგმა) პროფესიული განათლების შესახებ და სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით. პროფესიული განათლების სკოლებს ძირითადადში სახელმწიფო აფინანსებს (ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან). დამატებითი ფინანსური წყაროები მოზარდთა მიერ სწავლის ქირიდან და უმუშევართა მომზადება-გადამზადებიდან შემოსული თანხებია. ლატვიის მაგალითზე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 6.8% მთლიანად მოხმარდა ზოგადად განათლების სფეროს, მათ შორის 0.7% პროფესიულ განათლებაზე დაიხარჯა.

განათლების სამინისტრო არის პასუხისმგებელი ორგანო პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში და შესაბამისად მასვე ეკისრება პროფესიული განათლების სკოლებზე ფინანსების გადანაწილების ვალდებულება. სტატისტიკურად პროფესიული განათლებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტის 97% იხარჯება მასწავლებლის ხელფასებსა და სკოლის ხარჯებზე, ხოლო დარჩენილი 3% ინოვაციური სიახლეებისათვის არის გათვალისწინებული.

პროფესიული განათლების დაფინანსების დამატებით წყაროს წარმოადგენს ევროგაერთიანების სპეციალური პროგრამები ბალტიისპირეთის ქვეყნებში. ასეთი პროგრამებია:

- ცენტრალური ევროპის ქვეყნების დახმარების პროგრამა პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებაზე 1.5 მილიონი დოლარი;
- ევროგაერთიანების ლეონარდო და ვინჩის პროგრამა 1.150 მილიონი დოლარი;
- ევროპის მომზადება-გადამზადების ფონდის დაფინანსება 1.5 მილიონი დოლარ.

რაც შეეხება პროფესიული განათლების პრესტიჟულობის საკითხს ლატვიაში 2001/2002 წლებისათვის საშუალო სკოლის მოსწავლეების 38.3% პროფესიული განათლების სფეროზე მოდიოდა. დაახლოებით იგივე მაჩვენებელი ლიტვაში აღნიშნული პერიოდისათვის შეადგენდა 32.2%-ს.

ლატვიაში პროფესიულ განათლებაზე პასუხისმგებელი სამი სამინისტროა გამოყოფილი განათლებისა და მეცნიერების, სოფლის მეურნეობის და სოციალური დაცვისა და კულტურის სამინისტროები. განათლების სამინისტრო პასუხისმგებელია



პროფესიული განათლების კონცეფციის შექმნასა და იმპლემენტაციაზე. ასევე ის არის ინიციატორი მთელი რიგი საკანონმდებლო აქტებისა პროფესიული განათლების სფეროში. ამავე სამინისტროს ეკისრება სასწავლო გეგმების შედგენაზე ზედამხედველობის ფუნქცია. ჯანდაცვის სამინისტრო პროფესიული მომზადება-გადამზადების სფეროს კურირებს, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტრო მას დაქვემდებარებულ პროფესიულ სკოლებს უწევს მენეჯმენტს.

ლიტვაშიც პროფესიული განათლების დაფინანსება სახელწმიფო ცენტრალური ბიუჯეტიდან ხდება. პროფესიული განათლების დაფინანსების ხვედრითი წილი ქვეყნის ბიუჯეტის 1.8%-ს შეადგენდა, აქედან 1.3% კოლეჯის ტიპის სკოლებზე მოდის. ხოლო ზოგადად განათლებაზე გამოყოფილი ბიუჯეტის 10.92 % პროფესიულ განათლებაზე იხარჯება. დიდი თანხები იხარჯება მომზადება-გადამზადებაზეც. 2001 წლის მონაცემებით აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის განსაზღვრისათვის გათვალისწინებული ხარჯების 46.4 პროცენტი მომზადება-გადამზადებისთვის დაიხარჯა.

მნიშვნელოვანია დამატებითი დაფინანსება ევროგაერთიანების ფინანსური წყაროებიდან. მარტო ე.წ. “ტემპუსის”, პროფესიული განათლების რეფორმისა და უმაღლესი განათლების რეფორმის პროექტებიდან პროფესიულ განათლებაზე გათვალისწინებულმა თანხებმა გადააჭარბა 25 მილიონ დოლარს.

გერმანიაში პროფესიული განათლების სისტემა ძალიან პოპულარულია. მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ (გარკვეულ ასაკში ძირითადად 16-19 წლის ასაკობრივ ჭრილში) მიმართავენ პროფესიულ განათლებას მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 70% შეადგენს. მხოლოდ მოსწავლეების 10% მიმართავენ პროფესიულ განათლებას სასკოლო განათლების პერიოდში. ასევე საინტერესოა სტატისტიკური მახვენებელი უნივერსიტეტის სტუდენტებში პროფესიული განათლების მიღების კუთხით. გერმანიაში სტუდენტთა საერთო რაოდენობის 30%-ს გავლილი აქვს პროფესიული განათლება ორმაგი სისტემით, რაც გულისხმობს პროფესიულ განათლებას პლიუს მასპეციალიზირებული პრაქტიკული კურსები. ეს ყოველივე ხელს უწყობს სტუდენტს სწავლის დასრულების შემდეგ კონკურენტუნარიანი იყოს გერმანიის სამუშაო ბაზარზე მოხვედრისას.

გერმანიაში განათლების დაფინანსების ორმაგი სისტემა არსებობს: ფედერალური და ადგილობრივი. ფედერალური ინექციების ფინანსური წყარო გერმანიის ცენტრალური ბიუჯეტია. ხოლო ადგილობრივ დონეზე პროფესიული განათლება ღანდების ლოკალური ბიუჯეტით ფინანსდება. თუმცა ფედერალური ბიუჯეტიდან პროფესიულ განათლებასა და მომზადებაზე გამოყოფილი თანხები 5-10%-ით მეტია ადგილობრივ ინექციებთან შედარებით. ასევე მნიშვნელოვანია სპეციალური მოსაკრებელი, რომელსაც გადასახადის გადამხდელები იხდიან საკუთარი ხელფასიდან, რაც დაახლოებით 1%-ს შეადგენს. პროფესიული განათლების ფინანსირების წყაროს გერმანიისათვის საერთაშორისო დონაციებიც წარმოადგენს.

გერმანიაში პროფესიული განათლების ადმინისტრირებაში შემდეგი ორგანოები მონაწილეობენ:

- ეკონომიკის ფედერალური სამინისტრო
- განათლებისა და მეცნიერების ფედერალური სამინისტრო
- პროფესიული განათლების ფედერალური ინსტიტუტი.

აღნიშნული ინსტიტუტის მიზანია პროფესიული განათლების სფეროში ძირითადი პოლიტიკის განსაზღვრა. ინსტიტუტი წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს, რომელსაც მართავს სპეციალური საბჭო, რომელშიც შედიან ფედერალური მთავრობის, ლანდების, პროფესიული კავშირებისა და ასოციაციების წარმომადგენლები. ეს ორგანო განსაზღვრავს პროფესიული განათლების ყველა აკადემიურ თუ სტატისტიკურ მაჩვენებელს. მათ შორის, თუ როგორი უნდა იყოს კურიკულუმი ცალკეული დონის პროფესიული განათლებისთვის, რა რაოდენობის პროფესიული განათლების მქონე სჭირდება გერმანიის შრომის ბაზარს და ა.შ.

ყურადღებას იმსახურებს მოდლოვას მაგალითი, იმდენად რამდენადაც, სულ რამოდენიმე წლის წინ მოდლოვაში განხორციელდა პროფესიული განათლების რეფორმა ევროგაერთიანების TACIS-ის პროგრამის ფარგლებში. რადიკალური ცვლილება მოხდა დეცენტრალიზაციის კუთხით. თვითმმართველ ერთეულებს მიეცათ უფლება პროფესიული განათლების სკოლების ადმინისტრირებაზე. ზოგადი ადმინისტრირება, ისევე როგორც ამ სფეროში პოლიტიკის გატარება, წარმართვა და იმპლემენტაცია განათლების სამინისტროს კომპეტენციაში დარჩა. სამინისტროში შეიქმნა სპეციალური უწყება დეპარტამენტის სახით, რომელიც ახდენს პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროს მართვას. დაფინანსების წყარო ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო ბიუჯეტია და 2000 წლისათვის პროფესიული განათლებაზე მთლიანი შიდა პროდუქტის 0.6%-ის ინვესტირება მოხდა. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის კუთხით მოდლოვაში 2001 წლის მონაცემებით პროფესიული განათლების მიმღებ მოსწავლეთა რაოდენობამ საშუალო სკოლა დამთავრებულ მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 35 % შეადგინა.